საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3944
29/07/2022

3944-21-2-202207291601

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2497 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, მდ. შრომისხევის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- მოცემული არ არის სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძველი, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული ქვეპუნქტის მითითებით;
- მითითებული არ არის მანძილი საპროექტო უბნიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- „საქმიანობის მახასიათებლებში“ მითითებულია, რომ საპროექტო სამუშაოები შემოიფარგლება კალაპოტიდან ზედმეტი მოცულობის მასალის ამოღებით და ნაპირგასწვრივი მიწაყრილი დამბის მოწყობით, ხოლო, სამშენებლო სამუშაოების მოცულობათა უწყისში აღნიშნულია, რომ ამოღებული გრუნტით მდინარის მარცხენა ნაპირზე მოეწყობა ნაყარი ბერმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის ტიპი;
- სკრინინგის განცხადებაში მდ. შრომისხევის ზოგად მახასიათებლებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი უბნისათვის მდინარის საანგარიშო ხარჯის მონაცემები;
- წარმოდგენილი სკრინიგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტერიტორიაზე - არ იგეგმება ხე მცენარეების ჭრა და არ გვხვდება წითელი ნუსხის ხე-მცენარეები, ხოლო ადგილზე შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ტერიტორიაზე წარმოდგენილია ვერხვის სახეობის ხე-მცენარეები, რომლის ნაწილის დიამეტრი აღემატება 8 სმ-ს, რომელთა ბუნებრივი გარემოდან ამოღება (მოჭრა) აუცილებელია პროექტის განხორციელებისათვის, რაც საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისი დადგენილება №221 „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“-ის შესაბამისად საჭიროებს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ნებართვას. შესაბამისად, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ხე-მცენარეულ საფარზე ზემოქმედების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო